ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 209 (13593) | ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ДНЕС НАШЕ ИЗДАНИЕ:

## ДЕНЬ ВЕЛИКОГО ЮБИЛЕЯ

ДЕНЬ ВЕЛИКОГО ОКТЯБРЯ, СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕВОЛЮЦИЯ 50 ЛЕТ НАЗАД. ПОСВЯЩАЕТСЯ ЮБИЛЕЙНОЙ ДАТЕ СПЕЦИАЛЬНЫЙ ВЫПУСК.

ВЫ ПРОЧТЕТЕ ДОКУМЕНТЫ, ГАЗЕТЫ, ПОСВЯЩЕННЫЕ ГРУЗИНСКОЙ ПЕЧАТИ ПЕРИОДУ 1917-1921 ГГ. ЭТИ ГАЗЕТЫ ВЕЛИ РЕВОЛЮЦИОННУЮ БОРЬБУ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИИ ЗА СВОБОДУ, ЗА ВЕЛИКИЕ ИДЕИ ОКТЯБРЯ.

(ИЗЛОЖЕНИЕ ВТОРОЕ СТР.)

# მომავალ მოსავალზე აქედანვე ვიზრუნოთ

მეამოდგომა წელიწადის ოქროს პერიოდია. დროს სოფლის მშრომელები დიდ შემოქმედებითს ომას ეწევიან, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი დროულად აიღონ და დაანაბინაონ. შეაჯამონ მთელი წლის ნაშრომი. ბევრ მარტო ეს როდია მთავარი. შემოდგომაზე მტკიცე საფუძველი ეყრება მომავალი წლის უხვ მოსავალს. ჩვენს ინდუსტრიას გაანაღდებოდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დასათესი ნიადაგის მომზადება, მინდვრად სულ ცოტა მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მექანიზატორები ხნავენ ამზადებენ ნიადაგს.

ბრაქტიკით დამტკიცებულია, რომ საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეულიკულტურები უფრო მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე საგაზაფხულო კულტურები. ამიტომ სოფლის მეურნეობის მშრომელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმინენ საშემოდგომო ხვნა-თესვას.

„ჩვენს ქვეყნის გაზეთში გამოქვეყნდა „ოლენწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიკოლმეურნეობის წევრთა მიმართვა ქართველის ყველა კოლმეურნისადმი. „ოლენწყაროელებმა გადაწყვეტეს ახალი ომითი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 96 წლისთავს და სხვა ვალდებულებებიერთად იკისრეს შიდანარი წლის ნოემოდგომო სამუშაოები შესრულონ ოქტექნიკის კომპლექსის სრული დაცვით. ბუნებრივია, რომ წითელწყაროელებმა ოპატრიოტული თაოსნობა რესპუბლიკოლმეურნეობებში ფართო მხარდაჭერას ჰპოვებს.

ოფლად ცოტა როდია სხვა გადაუდებელი საქმეები, რომლებიც ამჟამად უნდა შესრულდეს. ჯერ არ დამთავრებულა ბის თიბვა, იღებენ ყურძენს, ბოსტნეულს, მალე მასობრივად დაიწყება ათობნი კულტურების მოსავლის აღება. ერთი სიტყვით, ყველა სამუშაო დროულად შესრულებას მოითხოვს. ახლა მთავარი ის არის, რომ ყველა ობიექტზე გავანწილოთ მუშახელი, არ შევასუსტოთ არც ერთი რგოლი, რომელზეც დამოკიდებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი წარმატებით განვითარება, უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის წარმოების ზრდა. სწორედ ახლა მტკიცე საფუძველი ეყრება მომავალი წლის უხვ მოსავალს. ამიტომ ყოველი დღე, საათი გადამწყვეტია საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეულიკულტურების თესვის წარმატებით უზრუნველსაყოფად.

ხუთწლედის პირველ წელს ჩვენს რესპუბლიკაში საშემოდგომო თესვის სამუშაოთა მოცულობა მცირე როდია. პურეული უნდა დაითესოს 234.276 ჰექტარზე. ამ დავალების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება სოფლის მშრომელია, ჩვენი მექანიზატორებისა და სპეციალისტების ღირსებისა და სახელის საქმეა.

ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ სოფლის პარტიული ორგანიზაციები, სოფლის სპეციალისტები, ყველა მშრომელი ხელიოზულად, საქმიანად შეუდგნენ თესვისათვის მზადებას. ხიღნალის რაიონის მხვნელ-მთესველებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად უკვე მოამზადეს 22.176 ჰექტარი ნიადაგი. მოუთესავი ანეული გაწმენდეს ხარეველებისაგან, გულდასმით გაადვბეიერეს. წითელწყაროელები წელს საშემოდგომოდ დათესავენ 29.720 ჰექტარს. ყველგან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწრაფად მიმდინარეობს დასათესად ნიადაგის მომზადება. აქ ნიადაგის ხვნის გეგმა უკვე 85.9 პროცენტით შესრულეს. ამ მხრივ ჩქარი ტემპი აიღეს კასპის, საგარეჯოს, ხაშურის, მცხეთის, გორის, ქარელის, ასპინძისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც მშრომელად ხვნაა. მეტი მზრალი მეტი მარცვალია, მეტი ხვავი და ბარაქაა. წელს რესპუბლიკაში მოსახნავია 199.886 ჰექტარი. სექტემბრის მეორე ხუთდღიერისათვის ეს სამუშაო შესრულებული იყო 32.1 პროცენტით. მზრალის ხვნის ტემპი უნდა დაჩქარონ თელავის, ახმეტის, კასპის, გორის, ბოლნისისა და სხვა რაიონების მხვნელ-მთესველებმა. მათ დავალება შესრულებული აქვთ მხოლოდ 9-20 პროცენტით.

ეუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მზრალად მოხნული კარგად ინარჩუნებს სანჭარო სინესტეს, ზამთარში ყველა პირობაა ნაყოფიერების ერთიორად გადიდებისათვის, ისპობა სარეველები, მიწის ფენებში ეროვნული ტექნიკური პირობებს.

ეკონომიკური ბალანსი ოფლიანობის ფასად. ეს ფასი ეროვნულ ეკონომიკურ ბალანსში ფულად ფასად ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

„ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე". ჩხატვარი ა. გერასიმოვი.

## 1921 წ. 16 თებერვალი. — საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიმართვა ვ. ი. ლენინისადმი საქართველოს მშრომელებისათვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, მენშევიკების კონტრრევოლუციურ მთავრობის წინააღმდეგ ხალხის მასების აჯანყების ჭარ-ცეცხლიდან გამოსული, ალტაცებულ სალამს უძღვნის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. მენშევიკების მთავრობამ, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ასაზრდოებს საერთაშორისო იმპერიალიზმი, შექმნა პიროვნული პოლიციური და სამხედრო აპარატი მშრომელთა დასათრგუნავად. საერთაშორისო რეაქციისა და ქართველ მენშევიკთა ჭვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის კოალიციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელნი სუსტი იყვნენ და მოძალდეთა უღლის გადაგდების ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა. მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასამარებლად ევროპის რეაქციის ძალები მოუშურებიან. გაერთიანებული შავი ლაშქრის შემოტევისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მხოლოდ გაერთიანებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს. ჩვენ იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ აგრეთვე დიდ მატერიალურ შესაძლებლობათა ქვეყანა მარტო არ დაგვტოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს! გაუმარჯოს მის დიდ ბელადს! გაუმარჯოს წითელ არმიას!

კრებული „უახლესი დროის საერთაშორისო პოლიტიკა ხელშეკრულებებში, ნოტებსა და დეკლარაციებში", ნაწ. III, გ., 1928 წ., გვ. 87.

## 1920 წ. 25 აპრილი. — ბ. კ. ორჯონიკიძის დეპეშა როსტოვიდან ვ. ი. ლენინისადმი

### საქართველოს მშრომელთა რევოლუციური განყოფილებისა და მენშევიკების მთავრობის მხრივ რეპრესიების შესახებ.

საქართველოში საპყრობილეებში ზის ათასობით ჩვენი ამხანაგი. ჩამოსული ამხანაგის სიტყვით, ყველგან ჩვენთვის სასარგებლო განწყობილებაა, ელიან საბჭოთა ჯარების მისვლას. აჯანყების ცდებს მთავრობა უაღრესად სასტიკად ახშობს. მოხალისეებს ისე აძლევს გზას, რომ იარაღსხელში უტოვებს. ამტკიცებენ, რომ იქ, საქართველოში, ადგენენ შეაროს, დრაცენაოს, ერდელისა და სხვ. რაზმებს.

ორჯონიკიძე,

სსრკ ეროვნული, ფ. 109, აღწ. 1, ს. 30, ფურც. 423, დედანი.

## საბჭოთა რუსეთში

### დენიკინელები თხოულობენ ამნისტიას

ნოვოროსსია. საბერძნეთში გადახვეწილმა 70 ათასმა დენიკინელმა ოფიცრობამ და ბურჟუებმა შუამდგომლობა აღძრეს ინგლისელების წინაშე გამოთხოვონ მათთვის ამნისტია საბჭოთა რუსეთისაგან.

ინგლისელებმა ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილეს, გადაარჩინეს ისინი, ვისაც შრომა შეეძლო და გაგზავნეს ინგლისში სამუშაოდ.

დენიკინელების მდგომარეობა აუწერელია, განუწყვეტელ კარანტინი და შიმშილი საბერძნეთის კუნძულზე იწვევს დიდ მოელვარებას.

ბუბანი. კისლოვოდსკის საზოგადოების გლეხობამ დაადგინა თითოეულმა კომლმა ერთ-ნახევარი ფუთი სურსათი მისცეს საბჭოთა მთავრობას.

### ლონი „პანელების წინააღმდეგ"

როსტოვი. გრძელდება მიტინგები ზიმიანოვსკიელების ნაწილებისა და ფაბრიკა-ზავოდებში. გამოაქვთ რეზოლუციები საბჭოთა რუსეთზე პოლონელი გეოლოგიურების ელური თავდასხმის წინააღმდეგ. ეწყობიან მოხალისეები.

### კომუნისტების მობილიზაცია

ოდესა. ნიკოლაევის პარტიულმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა სამაზრო პარტიულ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მოახდინონ პარტიული წევრების მობილიზაცია პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გასაგზავნად.

ბრონნი. ბროზნოს პარტიულმა ბიურომ გამოაცხადა ყველა კომუნისტებისა და თანამგრძნობთა მობილიზაცია დასავლეთის ფრონტზე გასაგზავნად.

(„პრავდა").

### ლეკვები

ომსკი. საბჭოთა გაზეთების ცნობით ომსკში საგანგებო სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალის სხდომა გაიხსნა, რომელიც ადმირალ კოლჩაკის მთავრობის ყოფილი მინისტრების საქმის გარჩევას შეუდგა. ბრალდებულთა სკამზეა ციმბირის საზოგადო მოღვაწენი. სულ ბრალდებულთა რიცხვი 24 უდრის, ტრიბუნალის სხდომები ომსკის რკინიგზის სახელოსნოებში ხდება.

კავკასია. ორშაბათს, კავკავში ჩრდილო კავკასიის საბჭოს წევრს საქართველოში დანიშნულ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს კირილს მოეკლა.

გაზეთი „კომუნისტი" 13 ივნისი 1920 წ.

საქართველო 1917 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე

# დიადი გაანთიადის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდი პირველი

**კომუნისტების დევნა გრძელდება**

*სენაკის მაზრაში*

ზუგდიდ-არუოფნის ხანა დაგვიდგა! ... კოლოზ მეორის რეაქცია 1906 წ. ... სანატრელი გაგვიხდა! ... ბანდარმერ... მიერ დევნა, სტრაფნიკების მიერ ... ალა მხლოდ აჩრდილია ... ბ. ... წინაშე, რომელსაც სჩადიან მენშევიკ... სენაკის მაზრაში!..

კომუნისტებზე ნადირობა აქ ხელ... ნებად გაიხადეს და თუ კიდევაც ... დროგამოშვებით ნადირობს თბილ... კომუნისტებზე. აქ ერთ დღესაც ... სუფლად არ უშვებენ, და თუ სადმე ... აგნეს, გაბაზრავენ.

15 სექტემბერს, როდესაც ბათუმ... და თბილისის მესვეურები ზეიმობ... ევროპიდან გამცემელ „სოციალის... ბის" ჩამოსვლის გამო, ხენაკში და ... მიდამოებში ხელოვნურად ხდებოდა ... დირობა კომუნისტებზე.

დაუპატიჟრეს და ქუთაისის ... ჩასვეს ორი ამხანაგი...

აი როგორი ზეიმით შეხვდა სენ... „დემოკრატია" დელეგაციის ჩამოსვ... ნუთუ არ იციან ბ. ბ. დელეგატებ... რომ მათ მიერ სანატრელ და საუკ... ერთადერთს „დემოკრატიულ" ქვეყ... ში, საქართველოში ასობით იტანჯ... ციხეში ნაპრისგავლების ზედამხედ... ლობით გლეხები და მუშები იმიტ... რომ ისინი კომუნისტები არიან.

აქ კანონი ფეხქვეშ გათელილია. ... ვიოსფლება მინიჭებული აქვთ ჩარჩ... კულანტებს. შიშვილობა, სოფლად, ... ლარია ის, ვინც ძველ დროს იყო მა... რი, კედია-ვეშაპელნი და ძმანი მა... მაშ რითია საქმები ეს საუცხოო კუთხ... საქართველო? მენშევიკებს წყალ... მით, რომ უღალატა მუშათა კლასს, ... ხობას და ფეხებს ულოკავს ჯერ ერ... როპს, შემდეგ კი მოღალატე-სოციალ... ვანდერველდეს და კომპ.

გაზეთი „ახალი კომუნისტი" 1920 წლის 30 სექტემბერი.

## ზარი რეკს, ზარი!

გესმით?! გუგუნებს, ზარი რეკს, ზარი!
სმენად ქცეულა ველი, მთა-ბარი!
ქვეყანას აცნობს ბრწყინვალე ამბებს,
მტირალთ ცრემლს უშრობს, ტანჯულთ ახარებს!
ღამის წყვდიადად ქვეშ მყოფ შრომის მხარეს
სადღესასწაულოდ ამზად-აჩქარებს!
გესმით!? ზარი რეკს, ზარი გუგუნებს!
მკვდარსაც ყურს სწვდება და სულს უბრუნებს!
იცით, რა მოხდა და რათ რეკს ზარი?
უნდა ამოშრეს სისხლისა ღვარი!
ძმა ძმასა უნდა გადაეხვიოს, —
ერთად გააღონ სამოთხის კარი!
ზარი რეკს, ზარი ქვეყანას ამცნობს,
რომ მზე ძმობისა წყვდიადსა აქრობს,
ზამთრის მაგიერ გაზაფხულსა შობს
და ბოროტებას სხივს გულში ასობს.

სანდრო გურული.

გაზეთი „ბრძოლა" 29 დეკემბერი, 1917 წ.

## რევოლუცია ვითარდება, დაირაზმეთ!

ერთ კვირაზე მეტია, რაც სახელოვანი პეტროგრადის სახელოვან მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა კონტრრევოლუციონურ ბურჟუაზიას, დარაზმა თავის გარშემო პროლეტარიატი და ჯარი და შეერთებული ძალით თავგანწირვით ეკვეთა მტერს. ბურჟუაზია უკვე დარაზმული იყო და კერენსკის მთავრობის საშუალებით უტიფრად სთელავდა ხალხის უფლებებს, სამარეს უთხრიდა მთელ რევოლუციას და დიდ ლოდს ამზადებდა მის საფლავზე მისაგორებლათ. ის იერიშით მოდიოდა დემოკრატიის უძლიერეს ციხე-სიმაგრეზე, ის აპირებდა მუშათა და სალდათთა საბჭოების გარეკვას, რომ ამით თავი მოეკრა რევოლუციისათვის და ასე ერთი დაკვრით მიწასთან გაესწორებინა იგი. მაგრამ მოსტყუვდა. კონტრრევოლუციონურ ძალას, ხალხის მოღალატე კერენსკის მთავრობას კბილებამდე შეიარაღებულ იუნკრებს, „ველურ დივიზიებს" და კაზაკებს რევოლუციამ დაუპირისპირა თავგანწირული ხალხი, შეიარაღებული არა მარტო სიმართლის რწმენით, არამედ საუკეთესო თოფ-ზარბაზნებითაც.

ბრძოლა. კერენსკიმ მოუწოდა ქუდზე კაცს, მოუწოდა მთელ კონტრრევოლუციონურ ბანაკს, თვით ჩაუდგა მას სათავეში და ბურჟუაზიული ცოფით სავსე გაიმართა პეტროგრადის დასამხობათ. მოულოდნელი არ ყოფილა პეტროგრადის პროლეტარიატისათვის კორნილოვის ნაცვლად კერენსკის გამოლაშქრება და აგრეთვე მომზადებული შეეგება ამ „სოციალისტის" ახალ რისხვას.

ეჭვს გარეშეა, პროლეტარიატი არამც თუ არ დაბეგვა უკან საბჭოდისწერო ბრძოლაში, არამც თუ შეურგდება სისხლის მსმელ კერენსკის, ის თვით გადაეა თავდასხმაზე და შეუბრალებლათ აღმოფხვრის კონტრრევოლუციის ნასახს.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ასეთ მძიმე პირობებში ჩაგარდნილი პეტერბურგის პროლეტარიატიც იწვევს ქუდზე კაცს და უყოვნის მთელ რევოლუციონურ ბანაკს. არა კმარა კონტრრევოლუციის ჩაკვლა ცენტრში, საჭიროა მის ძირ-ბუდიანათ დანგრევა პროვინციაშიც.

ჩვენ კი სწორი ცნობებიც არა გვაქვს სატანტო ქალაქების შესახებ, ხალხს უმალავენ ამ ცნობებს, არ აცნობებენ საქმის ნამდვილ ვითარებას. გუშინ მთელი დღე ლაპარაკობენ თბილისში მოსულ რადიოტელეგრამაზე, რომელიც პეტროგრადს შეეხება; მის მინაარსს ამ სიტყვებით გადმოგვცემენ: „რუსეთის რევოლუციის მატიანეში ჩაიწერა ახალი ბრწყინვალე გვერდი, დამარცხდნენ კერენსკის ჯარები, გაცემულია ბრძანება კერენსკის დატუსალების შესახებ".

რევოლუციის ცენტრს შეელა უნდა. კონტრრევოლუცია ყველგან უნდა აილაგმოს, ხალხი უნდა დაიარაზმოს თავის რევოლუციონური საბჭოების გარშემო და თავგანწირულათ დაუპირის მბარი რევოლუციის ცენტრებს — პეტერბურგს და მოსკოვს.

პეტერბურგს კონტრრევოლუციონერები ებრძვიან, მაგრამ ვინც პეტერბურგს მხარს არ უჭერს, ის კონტრრევოლუციას ეხმარება, ის თვით არის კონტრრევოლუციონერი — აქტიური ან პასიური.

გაუმარჯოს პეტროგრადის პროლეტარიატს და მის ბოშევიკურ რაზმს — მუშათა და სალდათთა საბჭოს!

გაუმარჯოს მთელი რუსეთის რევოლუციონურ საბჭოებს!

გაზეთი „ბრძოლა" 1917 წ. 2 ნოემბერი.

## მოჯადოებული წრე

კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის მიერ შექმნილი მდგომარეობა ჩვენში მოჯადოებულ წრეს მოგვაგონებს: ეს მდგომარეობა სავსეა წინააღმდეგობებით. ჩვენი ამხანაგებისათვის ცოხნა კარები გაიღო და ისინი იქიდან გამოვიდნენ. აშკარაა თავისი ნებით არავინ არ შევა სასყრობილეში და არც იატაკქვეშ ჩაძვრება. მაგრამ კომუნისტური პარტია, რანაირიც არ უნდა იყოს მისი მდგომარეობა, ე. ი. ლეგალური თუ არალეგალური, გულზე ხელდაკრეფილი ის ვერ გაჩერდება. იმავე დროს მართვა-გამგეობის წესი, სისტემა ისეთია, როგორიც იყო. როცა 1917 წლის თებერვალში რევოლუცია მოხდა, და ჩვენი ამხანაგები განთავისუფლდნენ, მაშინ ჩვენი პარტიის დევნის აპარატიც მოისპო. სრულიად სხვანაირი დღევანდელი ლეგალიზაცია. ჩვენ თავისუფლება მოგვეცა, მაშასადამე თავისუფალი, ლეგალური მუშაობის უფლებაც უნდა გაქონდეს. მაგრამ იმავე დროს არა თუ არ შეცვლილა საზოგადოების განსაზღვრულ წრეებში ჩვენდამი მტრული განწყობილება, არამედ სავსებით დაცული და შენახულია ჩვენი პარტიის დევნის აპარატი, რომელიც სწორედ ამ მიზნით იყო შექმნილი.

ყველამ კარგად უწყის, რომ იმ დროს როცა ჩვენ ამხანაგებს ციხეებიდან უშვებდნენ, ზოგიერთ ალაგას მთავრობის აგენტები სხვა ჩვენ ამხანაგებს იჭერდნენ და დღესაც იჭერენ, და ახლაც ბევრი ჩვენი ამხანაგები ამა თუ იმ მიზეზებით დატყვევებულნი არიან. ის გარემოება, რომ თვითეულ ჩვენგანს ორ-ორი და სამ-სამი „მეთვალყურე" დარჩენილ დაწესებულებიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ამაში როდია. იყო შემთხვევები, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში, როცა მთავრობის აგენტებმა ჩვენი პარტიული კრებები გარეკეს და პარტიის წევრებზე ძალადატანება იხმარეს. ყველაფერი ეს ადვილად გასაგებია, ვინაიდან მთავრობის აგენტებისათვის ის, რაც მოხდა საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ, გაუგებარია. გუშინ კომუნისტებს არათუ შეკრების, არამედ თავისუფლად გავლის ნებას არ აძლევდნენ და დღეს ეს „მავნე" ხალხი ისე ეთამაშება, რომ აშკარათ კრებს მართავს. როგორ უნდა გაიგოს, როგორ უნდა შეურიგდეს ამას განსაკუთრებული რაზმის ან ძალიერის მოხელემ, და იგი თავისას განაგრძობს. მაგრამ ჯანი გავარდეს! ასეთი წვრილ გაუგებრობას კიდევ როგორც იქნება გადავიტანთ, მაგრამ რას იტყვით იმ შემაძრწუნებელი ფაქტის შესახებ, რომელიც ამ დღეებში ბაშურში მოხდა? ჩვენ ვამბობთ ამბ. ქალიაშვილის მოკვლაზე: ივი ჯერ დაატუსალეს, და შემდეგ გზაზე მოკლეს. რა თქმა უნდა, ეს სახიზღარი დანაშაული არავის შერჩება, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა ხდება პროვინციაში, შეიძლება იქ კიდევ ამაზე უფრო უარესი, ამაზე უფრო შემაძრწუნებელი ამბები ხდება. ერთი სიტყვით აშკარაა, რომ ჩვენს ირგვლივ კიდევ რაღაც ძნიმე ატმოსფერო დგება.

და სწორედ ასეთ დროს, როცა ამ ძნიმე ატმოსფეროს გათხელებაა საჭიროა, გაზ. „ერთობა" სრულიად უძლური იდეურად გვებრძოლოს, დაარღვიოს ჩვენი საბუთები, დაურცხვენლათ აცხადებს: „ნუ გვათქმევინებს „კომუნისტი", რომ ამისთანა შემთხვევაში სიტყვიერი კამათი არა კმარა (ხაზს ჩვენ ეუსვამთ) „ეპვიანების" დასაჯერებლათო" (№ 126). ეს სიტყვები მეტათ საგულისხმიროა არა მუქარით რა თქმა უნდა, ვინაიდან „ერთობელებმა" კარგათ იციან, რომ ასეთი მუქარა ჩვენზე.. არ გაკრის, საგულისხმოა ეს სიტყვები იმ მხრით, რომ „ერთობელები" უძლური არიან ჩვენ იდეურ ნიადაგზე დაგვამარტონ და ამიტომ სიტყვიერ კამათს სხვანირ „იარაღზე" სცვლიან. მხოლოდ სიტყვას ნუ მიეცემო

# საბჭოთა გვარდია 25 წლისაა

### საუბარი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, არმიის გენერალ ვ. ა. პენკოვსკისთან

1941 წლის 18 სექტემბერს პირველი ოცი ხაბჭოთა მსროლელთა დივიზია გარდაიქმნა გვარდიულ დივიზიად. შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში ამ ღირსსახსოვარი მოვლენის 25 წლისთავის გამო საკდესის კორესპონდენტი მეგადევეი ეაუბარა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს არმიის გენერალს ვ. ა. პენკოვსკის. საუბარი ეხებოდა გვარდიის ნაწილებისა და შენაერთების როლს დიდ სამამულო ომში, გვარდიელთა ყოველდღიურ საქმეებს მშვიდობიან დროებში.

— გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გაჟაღურებული ბრძოლების ცეცხლში დაიბადა ჩვენი სახელოვანი გვარდია, — თქვა გენერალმა. გაიხსენეთ მშფოთავრე დღეები: ჰიტლერელები, ოლნებიც გვკბარბობდნენ ძალებით, მოეფინენ მოსკოვისაკენ, უკვე ლენინგრადის მიდამოებში იდგნენ და ცდილობდნენ ხელი ეგდოთ საბჭოთა სამხრეთის უნიშვნელოვანესი ქალაქები და რაიონები. ჩვენს არმიას უდიდესი ძალღონის ეაძლია მოუხდა, რომ შეეჩერებინა ეს ბრძოლეეა. გვარდიელთა წოდება მიენიჭა ეწინარეს ყოველისა იმ შენაერთებს, ომლებსაც დაეწყოთ 1941 წლის თავდაცვითი ბრძოლების მთავარი სიმძიმე. ომლებმაც თითოეული მტაკველი მშობიერი მიწის დაცვისას გვიჩვენეს მამაცობისა და მაგალითები, გამოიჩინეს მაღალი ორგანიზებულობა და მასობრივი გმირობა.

გვარდიული გახდა მსროლელთა დივიზია გენერალ-მაიორ ი. ნ. რუსიანოვის სახელობით, იგი სამოძრავო მოქმედებაში ეიყვანა ბელორუსიის დედაქალაქის რაიონში. ამ შენაერთის ჯარისკაცები და ოფიცრები არ შედრკნენ გამოცდილი და ვერაგი ომის წინაშე, არ შეუშვეს იგი თავიანთ ბანაკში. რუსიანოვის დივიზიის მებრძოლები მარჯვედ იყენებდნენ იარაღს, ერთიანად ხმარობდნენ ბენზინითა და სანაფაროს ნარევით სავსე ბოთლებს და გადაფლულად ებრძოდნენ ფაშისტთა ტანკებს. მწყობრიდან გამოპაჟადათ ისინი, ეკიტლოში დივიზია მონაწილეობდა ჰიტლერული დივეგუფების განადგურებაში ლენინგრადის ელნიასთან და მისი მეომრები ერთ მამაცურად და მედგრად იბრძოდნენ.

ძალღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად ებრძოდნენ მტერს 127-ე, 153-ე და 11-ე მსროლელთა დივიზიების ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც ეგრეთვე პირველი გვარდიული შენაერთები ეიყვნენ. „ბრძოლის ძნელ პირობებში, — აღნიშნული იყო სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის 1941 წლის 18 ექტემბრის ბრძანებაში, — ამ დივიზიებმა ბევრჯერ სასტიკად დაამარცხეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები, აიძულეს ეჩუეულიყვნენ, თავიანთ სცემდნენ“.

ბრძოლების დროს ახალი შენაერთები ეტებოდა გვარდიის რიგებს. 1941 წლის ოქტომბერში გვარდიული გახდა 316-ე მსროლელთა დივიზია, რომელსაც ხარდებოდა გენერალ-მაიორი ი. ვ. პანფილოვი. იგი ეცადა მოსკოვს ვოლოკოლამსკის მიმართულებით და გზა გადაეღობა ტანკერელთა ნუთ დივიზიას. პანფილოველებმა ერთი თვის ბრძოლების განმავლობაში მოსპეს 30 ათასი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 170 ტანკი. მათმა მამაცობამ, გამბედაობამ, სამშობლოსადმი თავდადებულმა ერთგულებამ მთელი ოფლიო განაცვიფრა. საბჭოთა ადამიანებმა მოდამ ეშახსოვრებათ 28 გმირი პანფილოველის საქმენი, რომლებიც დუნეეკოვის ასაკცეკვანთან ჩაებნენ ფაშისტთა ტანკების წინააღდეგ უთანასწორო ბრძოლაში და სიცოცხლის ფასად არ ეტარეს ისინი.

ემაგალითო გმირობა, განსაკუთრებუ- ბამაცობა გამოიჩინეს საბჭოთა მეომრებმა სტალინგრადის ბრძოლაში. გმირი ქალის სანაპიროს კედელზე ახლაც წაეთხავთ ამაღელვებელ სიტყვებს: „ჰეროიკულ-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ როდიმცევის გვარდიელები“. გენერალ-მაიორი ა. ი. როდიმცევი სარდლობდა მე-13 გვარდიულ მსროლელთა დივიზიას. ექვს საერთო საჯარისო არმიას, ელ რიგ საბანაო, საარტილერიო და ავიაციო შენაერთებს, რომლებმაც ჰიტლერელთა რჩეული ურდოები გაანადგურეს სტალინგრადთან, მიენიჭათ გვარდიის წოდება.

დიდი სამამულო ომის დროს თავდაცვის ბრძოლებში ყველაზე მეტი მამაცობა გამოიჩინეს გვარდიულმა ნაწილებმა. ბოლო როცა ჩვენი ჯარები შეტევაზე გადადიოდნენ გვარდიული არმიების, დივიზიებისა და ბრიგადების უბნებზე მტერი დიდხანს ვერ ძლებდა. გვარდიული ნაწილები და შეხაერთები ფრონტების დამაკერელი ძალა იყო, ისინი მუდამ მოკმედებდნენ იქ, სადაც წყდებოდა ბრძოლის ბედი, სადაც საჭირო იყო მტრის შემუსვრა მძლავრი და სწრაფი დარტყმით.

ომის დროს ყველა გვარეობის ჯარებს თავიანთი გვარდიული ნაწილები მყავდათ. ფრონტელებს განსაკუთრებით ახსოვთ გვარდიული ნაღმსატყორცნების — „კატუშების“ გამანადგურებელი ცეცხლი, მათი ფასდაუდებელი დახმარება ქვეითი ჯარისადმი.

ომის ისტორიაში ჩაიწერა ბევრი გვარდიელი მეომრის სახელები. საგმირო საქმენი მოახდინეს იმათ, ვინც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ვინ არ იცნობს ახლა რიგითს გვარდიელს ალექსანდრე მატროსოვს, რომელმაც საკუთარი სხეულით დაფარა მტრის ძლიერწყრის ამბრაზურა და ამით უზრუნველყო ბრძოლის წარმატება? რა შეუდრეკელი ხასიათი, რა ნებისყოფა გამოიჩინა რიგიომა გვარდიელმა იური სმირნოვმა, რომელიც წამებით მოკვდა, მაგრამ არ გასცა სამხედრო საიდუმლოება! გვარდიელი მურინავი ალექსანდრე პოკრიშკინი, რომელმაც მოწინააღმდეგის 59 თვითმფრინავი ჩამოაგდო საჰაერო ბრძოლებში, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

სამკერდე ნიშნით „გვარდია“ და უწინაფრო ქუდის შავ-ნარინჯისფერი ლენტით ცნობენ ახლა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გვარდიული ქვეგანაყოფების მეომრებს, თქვა შემდეგ გენერალმა ვ. ა. პენკოვსკიმ. ისინი წმიდათ იცავენ და ამრავლებენ თავიანთი ნაწილების საბრძოლო ტრადიციებს და მშვიდობიან დღეებშიც ცდილობენ წინ იყვნენ, ტონს აძლევენ არმიის ცხოვრებას. გვარდიელები — მერაკეტენი იქნებიან თუ ტანკისტები, ავიატორები თუ მოტომსროლელთა შენაერთის მეომრები — გამოირჩევიან თავიანთი საბრძოლო ოსტატობით, მტკიცე მხედრული დისციპლინით, ჯარისკაცული ამხანაგობით. ისინი ყოველნაირად ცდილობენ ღირსნი იყვნენ თავიანთი მამებისა, რომლებმაც ჰიტლერელ დამპყრობთა დამონებისაგან იხსნეს სამშობლო.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მოსკოვ-მინსკის (ყოფილი მოსკოვის პროლეტარული) გვარდიული მოტომსროლელთა დივიზია. ამას წინათ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემოწმების დროს მისმა ქვეგანაყოფებმა კარგი შედეგები გვიჩვენეს. ასეთი შეფასების მიღწევა ახლა არც თუ ისე ადვილია, რადგან ამ ბრძოლო წვრთნისას ჩვეულებრივ ძნელი ამოცანები ეკისრებათ. ომის წლებში გვარდიელებისათვის არ არსებობდა დაბრკოლება ბრძოლის ველებზე. ახლა ისინი ბევრითად და გულმოდგინედ ეუფლებიან ურთიერთს საბრძოლო ტექნიკას და იციან მისი ეფექტიანად გამოყენება. მათი ცოდნა დღითიდღე სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

ბოლო წლების ბრძოლნი სამხედრო საქმეში მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგად ახალი ნაბიჯი გადაიდგა ჯარების საბრძოლო მომზადებაში. უნდა ითქვას, რომ გვარდიელები კარგად ასრულებენ მათს წინაშე დასაბულ ახალ ამოცანებს და ავანგარდული როლი უკავიათ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებაში.

გვარდია რუსულ არმიაში პეტრე I-ის დროს შეიქმნა. მაშინ ეს იყო რჩეული ნაწილები. რომლებმაც არ იცოდნენ შიში სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში. იმ შორეული წლების გვარდიული პოლკების საუკეთესო თვისებები — უმაგალითო მამაცობა, შეუდრეკელი მისწრაფება გამარჯვებისადმი. მზადყოფნა მომკვდარიყვნენ ბრძოლაში, მაგრამ არ შეერცხვინათ თავი და სამშობლო, — საუსტინთ დამახასიათებელია საბჭოთა გვარდიელებისათვისაც. მაგრამ მათს ძალას მრავალჯზის ადიდებს მოკალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, იმის შეგნება, რომ ისინი იცავენ საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის მშვიდობიან შრომას. საბჭოთა კავშირის ძლავრი შეიარაღებული ძალების მოწინავე რაზმი — გვარდიის პირადი შემადგენლობა პირნათლად და ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას და მზად არის ყოველ მომენტში მკერდით დაიცვას სამშობლო. (საკდესი).

# სოციალიზმი

## სოციალიზმის პროგლემეგი

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის ოტელ „კომოდორში“ გაიმართა სოციალიზმის პრობლემების შემსწავლელ მეცნიერთა მეორე ყოველწლიური კონფერენცია.

ამ კონფერენციაში, რომელიც იხილავდა სოციალიზმის პრობლემებს ყველაზე ფართო ასპექტით, მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მეცნიერები. კონფერენციას დაესწრო სულ ცოტა 1.500 კაცი, უმთავრესად უნივერსიტეტების ახალგაზრდა მასწავლებლები და სტუდენტები.

ამერიკის ბურჟუაზიული პროპაგანდა ათეული წლების მანძილზე ყოველ ღონეს ხმარობდა ბიღწია იმისთვის, რომ ხიტყვა „სოციალიზმს“ ამერიკელებში გამოეწვია ყველაზე არასასიამოვნო წარმოდგენები. შეხვედრამ, რომელიც ოტელ „კომოდორში“ გაიმართა, დაადასტურა ამ ცდენის ამაოება.

◆

## იზრდება საურანგეთის კომპარტიის რიგები

პარიზი, 12 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ ორი დღის ეროვნული დღესასწაულის დროს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში, წინასწარი მონაცემებით. შეივიდა 1.450 კაცი. ეს განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟაკლინ როშემ.

## ჩომბე ესნრაფვის ძალაუფლებას

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). „კონგოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოიზ ჩომბე ოპტიმისტურად არის განწყობილი ხელისუფლების სათავეში მისი სწრაფად დაბრუნების პერსპექტივისადმი“, — იუწყება გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მადრიდელი კორესპონდენტი.

ესპანეთის დედაქალაქში ჩასვლისას ამ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩომბემ განაცხადა, რომ ამჟამად იგი „აქტიურად ცდილობს გადაეყვანოს პრეზიდენტ ჯოზეფ მობუტუს მთავრობა“. ჩომბემ ადიარა, რომ წარსულში შეერთებული შტატები მხარს უჭერდნენ, წერს კორესპონდენტი, და ახლა ისევ მოუწოდებს ვაშინგტონს მხარი დაუჭიროს მის ამ მისწრაფებას. ჩომბეს აზრით, „ლეოპოლის კონგოს მდგომარეობის გაუარესების შედეგად იგი ისევ ჩაუდგება ხელისუფლებას სათავეში უახლოეს მომავალში“, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი.

**თანამედროვეობის** ყველაზე დიდი ბოროტმოქმედებაა ბინძური ომი, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ ვიეტნამში. ამერიკის სამხედრო ხელისუფლნენ ამბობენ, „ჩვენ ვებრძვიო, ოღონდ და მხოლოდ სამხედრო ობიექტებს. სინამდვილეში კი ამერიკული სვავები მომაკვდინებელ ტვირთს აყრიან საცხოვრებელ კვარტალებს, მაღაზიებს, სოფლებს, საავადყოფოებს, მეთევზეთა ნავებს. ეს ფოტოსურათები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ამერიკა ვიეტნამის ომში იყენებს მასობრივი ხოცვა-ყლეტის ბარბაროსულ მეთოდებს — სპობს უმწეო ადამიანებს — ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. **სურათებზე:** ხაიფონზე ამერიკის ავიაციის მორიგი თავდასხმის შემდეგ. მარცხნივ — დაბომბვის მსხვერპლნი — მშვიდობიანი მოქალაქენი; მარჯვნივ—მაშველი რაზმის წევრს ნანგრევებიდან ამოაყავს ხუთი თვის ბავშვი. (აპს).

# გულახდილი ლაპარაკი

ჟენევა, 13 სექტემბერი. (საკდესი). „ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია ვიეტნამში სერიოზულ ხიანს აყენებს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას“, — განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა კ. გ. ტრეტიაკოვმა გუშინ ვაჭრობისა და განვითარების საბჭოში. მან მხარი დაუჭირა პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატთა გამოსვლებს, რომლებმაც დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ამ ქვეყანაში და მოითხოვეს ასეთი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კუბის რესპუბლიკის ეკონომიური ბლოკადა, რასაც შეერთებული შტატები ეწევიან, სამარცხვინოა და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების ეენეკის 1964 წლის კონფერენციის სულისკვეთებას. კ. გ. ტრეტიაკოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ დასავლეთის პოზიციის გამო ისევი ქვეყანა, როკორიცაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაში, ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის წევრი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გამოსვლათ დამთავრდა ორი კვირის დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების ორგანული ერების ორ- კონფერენციის გენერალური მდივანთან. პრუბშის მოახსენების გამო საერთაშორისო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

ვაჭრობისა და განვითარების საბჭოს წევრი ახალი, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებმა ამ დისკუსიის დროს დიდი შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ალთუ ვერ სრულდება. არამედ ბოლო წლებში კიდე

# კომუნისტი — ახალი ამბები ცნობები

## კოლმეურნეებს — ხელფასი

**კასპი.** სოფელ მეტეხის კოლმეურნეობაში დაინერგა შრომის გარანტირებული ანაზღაურება. ივლისიდან კოლმეურნეები ხელფასს იღებენ. მაგალითად, მეღორეობის ფერმის მწყემსებმა იაკობ მღებრიშვილმა და სათო ბოგველმა ერთ თვეში თვითეულმა 118 მანეთი მიიღო, ავტომანქანის მძღოლმა ნიკო მაღლაშვილმა — 128 მანეთი, ბრიგადირმა გიგო ბარნაბიშვილმა — 150 მანეთი და სხვ.

უფრო მეტი ხელფასი გამოიმუშავეს მექანიზატორებმა. ივლისში ტრაქტორისტ შოთა გუგულაშვილს ერგო 163 მანეთი, კომბაინერებს ოთარ გეჯაძეს — 193 მანეთი, მიხეილ გუჯაძეს — 207 მანეთი. ამავე თვეში ტრაქტორისტმა დიმიტრი გურწიშვილმა 243 მანეთი, ხოლო ტრაქტორისტმა ვლადიმერ შარიფაშვილმა 398 მანეთი გამოიმუშავა.

შრომის გარანტირებულმა ანაზღაურებამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნეობაში. მშრომელები დაუღალავად იბრძვიან და ყველა საქმეს დროულად და ხარისხიანად ასრულებენ.

**ი. სოზიაშვილი.**

## მოკლედ

□ **თარჯოლაში** საგასტროლოდ ჩამოვიდა ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კლუბის თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი, რომელმაც დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად თერჯოლელ მაყურებლებს უჩვენა შალვა დადიანის 4-მოქმედებიანი დრამა „შოთა რუსთაველი“.

**ვ. კუტალაძე.**

□ **მცხეთის** რაიონის სოფელ ცხეკარიჭამიის მშრომელები დღემდე მოკლებული იყვნენ ელექტროენერგიის. ახლახან მათ დიდი სახარული განიცადეს — ყველა ოჯახში გაყვანილი იქნა ელექტროხაზი და ნათურები აანთეს.

**ნ. მიგრიაული.**

□ **ხაშურის** რაიონის სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობაში აშენდა 200-ადგილიანი ახალი კლუბი. კლუბში დადგმულია უახლესი ტიპის კინოპარატურა. ამ ღონეებში სოფლის მშრომელებმა საკოლმეურნეო კლუბში უკვე ნახეს პირველი კინოფილმები.

**დ. ფარემუზოვი.**

## გაზეთი „საშევარდნო“

ჰიათურა. (საკ. კორ.). მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტთან არსებობს ლიტერატურული წრე, რომელშიც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა დამწყები შემოქმედია გაერთიანებული.

წრის წევრებმა ახლახან გამოუშვეს ლიტერატურული კედლის გაზეთი „საშევარდნო“. (ეს სახელი ჰქვია ჭიათურის ჩრდილოეთით აღმართულ ვეებერთელა კლდეს).

ლიტერატურული გაზეთი, რომლის რედაქტორია დამწყები პოეტი ს. ჯაფარიძე, მრავალფეროვანია.

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილია მუშა-პოეტის ვალერიან გამგებელის ლექსი „შოთა რუსთაველს“.

მუშა მიხეილ ცერცვაძის მოთხრობაში „შვიდად იძინე, პატარავ!“ მოთხრობილია მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთეზე.

აქვე მოთავსებულია დამწყები მაღაროელი პოეტების ჯიბო ნეფარიძის, ომარ ჯავახიძის, პლატონ ჩადუნელის, შამშე აბაშიძის, თენგიზ გურჯიძის, ნიკოლოზ სისვაძის ლექსები.

გამოჩენილ საბჭოთა პოეტს ნ. ტიხონოვს წელს 70 წელი უსრულდება. გაზეთში მოთავსებულია ნ. ტიხონოვის ლექსი „რატომ ვმღერი აღტაცებით“, რომელიც ს. ჯაფარიძემ თარგმნა.

გაზეთი ათავსებს აგრეთვე ლიტერატურული წრის წევრთა მიერ შეკრებილ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

**ჯ. ჟიოკაძე.**

## ფოთის ახალშენებლობები

**ბუთიღლიდის** პრომშოები — ასე შეარქვეს ფოთელებმა ამ წელს მწყობრში ჩამდგარ ახალ საწარმოსა და საყოფაცხოვრებო-სავაჭრო ობიექტებს.

პირველი პროდუქცია — ქალის, ბავშვის კაბები, ზეწრები უკვე მიაწოდა საკაპრო ბაზებს № 2 სამკერვალო ფაბრიკამ, რომელიც ახლადაგებულ სამსართულიან შენობაშია მოთავსებული და უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი.

ნავსადგურის ტერიტორიაზე, ზღვის პირას გაიხსნა აბანო-სამრეცხაო კომბინატი. ახალი სამრეწველო მაღაზია და საზეკვების ობიექტები გაიხსნა აგრეთვე ქალაქის დიდ სამრეწველო უბნებში.

შენდება და წელს ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ფართოეკრანიანი კინოთეატრი მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე. კინოთეატრი 800 მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული.

**ჯ. კოშახიძე.**

## ახალი მოსავლის კონსერვები

ქობულეთის საკონსერვო ქარხანამ დაიწყო ახალი ხილის კონსერვების წარმოება. უკვე გამოშვებულია მილიონამდე ქილა ტყემლის, ქლიავის, მსხლის, ვაშლის კომპოტი, ხილფაფა, ხილის წვენები.

პროდუქციის პირველი პარტია გაეგზავნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებს. წელს ქობულეთელი მეკონსერვეები სამ მილიონ ქილა კონსერვს დაამზადებენ.

**ო. კოფელიძე.**

## წიგნის თარო

**ვლადიმერ ჯიბუტი — პორტრეტები და წერილები.** ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული. რედაქტორი ე. ტრიპოლსკაია, მხატვარი ო. ვარვარიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გვ. 222, ფასი 48 კაპ.

**დუდუ გიდიანიძე — 414-ე ქართული დივიზიის ნაკვალევზე.** ნარკვევი. რედაქტორი ნ. კუპრავა, მხატვარი ო. ვარვარიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 114, ფასი 27 კაპ.

**ილია მელქაძე — კოლხეთის ვარსკვლავი.** მხატვრული ნარკვევი. რედაქტორი გ. ნატრიშვილი, მხატვარი ზ. თელია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 206, ფასი 37 კაპ.

## ბრიგადა „ტორპედოს“ — ჩემპიონი

**ბაკურიანი.** (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურისტული ბაზის ბრიგადა „ტორპედოს“ ბოლო ადგილიდან ბოლო ადგილამდე ასვლა-ჩამოსვლა ერთ-ერთ ადგილზე ადგა. ეს ბრიგადა ბაზის